Open Budget Survey 2012
www.openbudgetindex.org

IBP | INTERNATIONAL BUDGET PARTNERSHIP
Open Budgets. Transform Lives.

**2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევა“ - საქართველო**

**„ღია ბიუჯეტის ინდექსის“ მაჩვენებელი 2012 წელს : 55**
[[საქართველოს მთავრობა საზოგადოებას აწვდის: ----შეზღუდულ ---- მინიმალურ----- **გარკვეულ**-----არსებით------ფართო -----ინფორმაციას.]]

**ა. „ღია ბიუჯეტის ინდექსი“**

**სქემა 1. საქართველოს ქულები „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ უკანასკნელი ოთხი კვლევის მიხედვით**

| „ღია ბიუჯეტის ინდექსი“ - 2006 | „ღია ბიუჯეტის ინდექსი“ - 2008 | „ღია ბიუჯეტის ინდექსი“ - 2010 | „ღია ბიუჯეტის ინდექსი“ - 2012 |
|---|---|---|---|
| 34 | 53 | 55 | 55 |

**სქემა 2. რა მდგომარეობა აქვს საქართველოს ცენტრალურ აზიაში მის მეზობლებთან მიმართებაში?**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი | 42 |
| საქართველო | 55 |
| ყაზახეთი | 48 |
| ყირგიზეთი | 20 |
| მონღოლეთი | 51 |
| რუსეთის ფედერაცია | 74 |
| ტაჯიკეთი | 17 |
| უკრაინა | 54 |

„ღია ბიუჯეტის ინდექსის“ საშუალებით განისაზღვრება, აწვდის თუ არა მოქალაქეებს თითოეული გამოკვლეული ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება რვა ძირითად საბიუჯეტო დოკუმენტს და არის თუ არა აღნიშნულ დოკუმენტებში ასახული მონაცემები გასაგები, დროული და სასარგებლო. კვლევაში გამოიყენება ყოველი ქვეყნის ბიუჯეტის გამჭვირვალობის შეფასების საერთაშორისო დონეზე აღიარებული კრიტერიუმები,

რომლებიც ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაა შემუშავებული, როგორებიცაა: „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“, „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“ და „უმაღლესი სააუდიტორო ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაცია.“

„ღია ბიუჯეტის ინდექსის“ 125 კითხვიდან 95 კითხვაზე მიღებული ქულებით გამოხატული შეფასება გამოიყენება თითოეული გამოკვლეული ქვეყნის ობიექტური ქულების გამოთვლისა და შედარებითი გამჭვირვალობის კლასიფიკაციის დასადგენად. სწორედ ეს ჯამური ქულები შეადგენს „ღია ბიუჯეტის ინდექსს“, რომელიც მსოფლიოში ბიუჯეტის გამჭვირვალობის ერთადერთ დამოუკიდებელ და შედარებით მაჩვენებელს წარმოადგენს.

საქართველოს მაჩვენებელი 55 ქულაა შესაძლო 100 ქულიდან, რაც 100 გამოკვლეული ქვეყნის მიერ მიღებულ საშუალო 43-ქულიან მაჩვენებელს აღემატება, თუმცა ჩამორჩება მისი მეზობლის, რუსეთის ფედერაციის მაჩვენებელს. საქართველოს მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მთავრობა საბიუჯეტო წლის განმავლობაში თავისი მოქალაქეებისათვის ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტსა და ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. ამდენად საქართველოს მოქალაქეთათვის კვლავაც გამოწვევად რჩება სახელმწიფო სახსრების განკარგვის საქმეში მთავრობის სრული ანგარიშვალდებულების საკითხი.

2012 წელს „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ საქართველოს 55-ქულიანი მაჩვენებელი მის მიერ 2010 წელს ნაჩვენები ქულის ტოლია.

**სქემა 3. 0-დან 100-ამდე: გაიზარდა თუ არა საქართველოში მთავრობის მიერ გაცემული ინფორმაციის მოცულობა რვა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტის მიხედვით?**

| | | |
|---|---|---|
| ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები | 2010<br>2012 | 89<br>100 |
| სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი | 2010<br>2012 | 60<br>76 |
| დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი | 2010<br>2012 | 67<br>100 |
| მოქალაქის ბიუჯეტი | 2010<br>2012 | 0<br>0 |
| წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები | 2010<br>2012 | 79<br>0 |
| ნახევარი წლის მიმოხილვა | 2010<br>2012 | 0<br>0 |

| | | |
|---|---|---|
| საბოლოო წლიური ანგარიში | 2010<br>2012 | 26<br>0 |
| აუდიტის ანგარიში | 2010<br>2012 | 39<br>72 |

„ღია ბიუჯეტის ინდექსი“ შედგება აღნიშნული რვა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტის შეფასების საშუალო ქულების ჯამისგან. კერძოდ, ეს საშუალო ქულები წარმოადგენს იმ პასუხების შუალედური ქულების ჯამს, რომელიც ზომავს თითოეული საბიუჯეტო დოკუმენტის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობასა და მათში ასახული ინფორმაციის ოდენობას. მიღებული საერთო ქულები შეიძლება ყველა დანარჩენი გამოკვლეული ქვეყნის შესაბამის ქულებს შეედაროს.

**ცხრილი 1. დაასახელეთ რვა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტიდან თითოეული. ხელმისაწვდომია თუ არა ისინი საზოგადოებისათვის?**

| **დოკუმენტი** | **დოკუმენტის აღწერა** | **გამოქვეყნებულია თუ არა** |
|---|---|---|
| ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები | იძლევა ინფორმაციას მთავრობის პოლიტიკასა და ბიუჯეტს შორის არსებული კავშირის შესახებ, მასში ასევე ასახულია ზოგადი პარამეტრები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოსთვის წარსადგენ ბიუჯეტის პროექტს განსაზღვრავს | გამოქვეყნებულია |
| სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი | მასში აისახება მთავრობის გეგმები გადასახადებისა და სხვა წყაროების გზით სახელმწიფო შემოსავლების გაზრდასთან, აგრეთვე მოცემული სახსრების პრიორიტეტული დარგების დაფინანსებაზე მიმართვასთან დაკავშირებით, რაც პოლიტიკის მიზნების მოქმედებებად ქცევას ნიშნავს. | გამოქვეყნებულია |
| დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი | წარმოადგენს სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომლითაც აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფო შემოსავლების გაზრდის, ხარჯების გაწევისა და სასესხო ვალდებულებების აღების საშუალება ეძლევა. | გამოქვეყნებულია |
| მოქალაქის ბიუჯეტი | წარმოადგენს მთავრობის ბიუჯეტის არატექნიკურ წარდგენას, რომლის დანიშნულებაცაა ფართო საზოგადოებისათვის გასაგები გახადოს მთავრობის გეგმები სახელმწიფო შემოსავლების გაზრდასა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით | არ არის წარმოდგენილი |
| წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები | მასში აისახება ფაქტობრივი შემოსავლების, ხარჯებისა და სასესხო ვალდებულებების სფეროში გატარებული პერიოდული (ყოველთვიური ან ყოველკვარტალური) ღონისძიებები, რომლებიც ბიუჯეტის მონაცემების შედარების საშუალებას იძლევა | წარმოდგენილია შიდა მოხმარებისათვის |

| | | |
|---|---|---|
| ნახევარი წლის მიმოხილვა | შეიცავს ბიუჯეტის შესრულების შედეგების მიმოხილვას საბიუჯეტო წლის პირველი ნახევრის ბოლოს. მასში განხილულია ცვლილებები ნებისმიერ ეკონომიკურ პარამეტრში, რომელიც გავლენას ახდენს დამტკიცებულ საბიუჯეტო პოლიტიკაზე. | არ არის წარმოდგენილი |
| საბოლოო წლიური ანგარიში | შეიცავს ინფორმაციას ბიუჯეტის ფაქტობრივ შესრულებასთან დაკავშირებით დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესადარებლად | წარმოდგენილია შიდა მოხმარებისათვის |
| აუდიტის ანგარიში | წარმოადგენს აუდიტის უმაღლესი ორგანოს მიერ მთავრობის საბიუჯეტო ანგარიშების დამოუკიდებელ შეფასებას. მასში აისახება ინფორმაცია იმის თაობაზე, გაზარდა თუ არა მთავრობამ შემოსავლები და დახარჯა თუ არა სახელმწიფო სახსრები დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ზუსტად აწარმოებს მთავრობა შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას და ასახავს თუ არა ეს აღრიცხვა ფისკალური სიტუაციის საიმედო სურათს. | გამოქვეყნებულია |

**<u>რეკომენდაციები:</u>**

„ღია ბიუჯეტის ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს შეფასება „ღია ბიუჯეტის კვლევის“ სამი რაუნდის განმავლობაში, საერთო ჯამში, სტაბილურ სურათს აჩვენებს. თუმცა საქართველოს 2012 წლის შეფასება, რომელმაც „ღია ბიუჯეტის ინდექსით“ შესაძლო 100 ქულიდან 55 ქულა მიიღო, იმას მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობას გააჩნია საშუალება არსებითად გააუმჯობესოს ბიუჯეტის გამჭვირვალობა რიგი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ზომების გატარებით, რომელთაგან ზოგიერთი მთავრობის მხრიდან თითქმის უდანახარჯოდ შეიძლება განხორციელდეს.

„ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა“ საქართველოს რეკომენდაციას აძლევს, ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით შემდეგი ზომები გაატაროს:

- **წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებისა და საბოლოო წლიური ანგარიშის გამოქვეყნება.** ამჟამად წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და საბოლოო წლიური ანგარიში შიდა მოხმარებისთვისაა წარმოდგენილი (აღნიშნული ორი დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ ცნობარში: http://bit.ly/QGzHv8). 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევის“ თანახმად, წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს 78 ქვეყანა აქვეყნებს, ხოლო 72 ქვეყანა, მათ შორის საქართველოს ყველა მეზობელი ცენტრალური აზიის რეგიონიდან, აქვეყნებს საბოლოო წლიურ ანგარიშს. ბმულები იმ

საბიუჯეტო დოკუმენტებზე, რომლებსაც ღნიშნული ქვეყნები აქვეყნებენ, ხელმისაწვდომია შემდეგ გვერდზე <http://bit.ly/P8NPOV> აქვეყნებს.

- **ნახევარი წლის მიმოხილვისა და მოქალაქის ბიუჯეტის შედგენა და გამოქვეყნება.** ნახევარი წლის მიმოხილვის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ ცნობარში: http://bit.ly/P8NPOV. 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევის" თანახმად, ნახევარი წლის მიმოხილვას 29 ქვეყანა აქვეყნებს, საქართველოს მეზობელი აზერბაიჯანის ჩათვლით. მოქალაქის ბიუჯეტის შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ცნობარში: http://bit.ly/QGzFmJ. 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევის" თანახმად, მოქალაქის ბიუჯეტს 26 ქვეყანა აქვეყნებს. ბმულები იმ საბიუჯეტო დოკუმენტებზე, რომლებსაც ღნიშნული ქვეყნები აქვეყნებენ, ხელმისაწვდომია შემდეგ გვერდზე http://bit.ly/P8NPOV.
- **სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში უფრო მეტი ინფორმაციის განთავსება.** განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის წარდგენას შემდეგ სფეროებზე:
  1. სახელმწიფო ვალის სტრუქტურა (მაგ: ვალის პროცენტი, ვალიუტა, გადახდის დრო, შიდა თუ საგარეო ვალი) - (იხ. მე-13 კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში");
  2. ბიუჯეტის შემუშავების დროს გამოყენებული მაკროეკონომიკური პროგნოზები და გათვლები (იხ. მე-15 კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში");
  3. კვაზიფისკალური საქმიანობა, პირობითი და მომავალი სასესხო ვალდებულებები, ფინანსური და არაფინანსური აქტივები, საგადასახადო შეღავათები (იხ. კითხვები 38-40, 42-43 და 45 „ღია ბიუჯეტის კითხვარში"); და
  4. ბიუჯეტის დაკავშირება მთავრობის გაცხადებულ პოლიტიკურ მიზნებთან და ხარჯვითი პროგრამების არაფინანსური ტიპის მონაცემებთან და შესრულების ინდიკატორებთან (იხ. კითხვები 17, 50-51, 53 „ღია ბიუჯეტის კითხვარში").
- **აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება** (იხ. კითხვები 95 და 108 „ღია ბიუჯეტის კითხვარში").

**ბ. საკანონმდებლო და აუდიტის უმაღლესი ორგანოების სიძლიერე ბიუჯეტის მონიტორინგის საქმეში**

„ღია ბიუჯეტის კვლევა" შეიწავლის, თუ რამდენად შედეგიანად ახორციელებენ ბიუჯეტის მონიტორინგს საკანონმდებლო და აუდიტის უმაღლესი ორგანოები. აღნიშნული ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ - ხშირად ეს როლი სახელმწიფოს კონსტიტუციაშია ასახული - სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვასა და მისი შესრულების კონტროლის საკითხში.

**ცხრილი 2. საქართველო და რუსეთის ფედერაცია ლიდერობენ ცენტრალურ აზიაში ბიუჯეტის კონტროლისა და საზოგადოების ჩართულობის მხრივ**

| ქვეყანა | საკანონმდებლო ორგანოს სიძლიერე | აუდიტის უმაღლესი ორგანოს სიძლიერე | საზოგადოების ჩართულობა |
|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | საშუალო | საშუალო | დაბალი |
| საქართველო | მაღალი | მაღალი | საშუალო |
| ყაზახეთი | მაღალი | დაბალი | დაბალი |
| ყირგიზეთი | საშუალო | საშუალო | დაბალი |
| რუსეთის ფედერაცია | მაღალი | მაღალი | დაბალი |
| უკრაინა | მაღალი | მაღალი | დაბალი |
| მონღოლეთი | მაღალი | მაღალი | დაბალი |
| ტაჯიკეთი | საშუალო | მაღალი | დაბალი |

მაღალი: შესაძლო 100 ქულიდან 66 ქულაზე მაღალი საშუალო ქულა; საშუალო: საშუალო ქულა 34-სა და 66 ქულებს შორის; დაბალი: საშუალო ქულა 34 ქულის ქვემოთ.

„ღია ბიუჯეტის კვლევა“ შეისწავლის, ახორციელებს თუ არა საკანონმდებლო ხელისუფლება ბიუჯეტის ეფექტურ კონტროლს შემდეგ სფეროებში: ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენამდე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციები, კვლევის შესაძლებლობები, საერთო საბიუჯეტო პოლიტიკაზე ოფიციალური დებატები, ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცებისათვის საკმარისი დროის არსებობა, ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანის კანონისმიერი უფლებამოსილება, ბიუჯეტის ხარჯვით და საშემოსავლო ნაწილში ცვლილებების დამტკიცება, დამატებითი უფლებამოსილებანი ბიუჯეტთან დაკავშირებით, საგანგებო ხარჯების გამოყენების დამტკიცებისა და აუდიტორული ანგარიშების შემოწმების უფლება.

„ღია ბიუჯეტის კვლევა“ შეისწავლის, არიან თუ არა აუდიტის უმღლესი ორგანოები უფლებამოსილნი განახორციელონ ბიუჯეტის ეფექტური კონტროლი შემდეგი ოთხი მაჩვენებლის მიხედვით: აუდიტის უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანლის გათავისუფლება, სახელმწიფო სახსრების აუდიტის ჩატარების კანონისმიერი უფლება, ფინანსური რესურსებისა და კვალიფიციური კადრების არსებობა.

**<u>რეკომენდაციები:</u>**

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტზე ძლიერი საკანონმდებლო კონტროლი ხორციელდება, 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევა“ ადგენს, რომ შესაძლებელია აღნიშნული კონტროლის გაძლიერება, თუ

საკანონმდებლო ორგანოს მიეცემა კანონისმიერი უფლება ცვლილებები შეიტანოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში (იხ. მე-100 კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“).

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბიუჯეტზე ძლიერი აუდიტორული კონტროლი ხორციელდება, 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევა“ ადგენს, რომ შესაძლებელია აღნიშნული კონტროლის გაძლიერება, თუ აუდიტის სახელმწიფო სამსახურს უფლება მიეცემა თავად გადაწყვიტოს რა სახის ფინანსური აუდიტის ჩატარება სურს სახელმწიფო უწყებებში (იხ.92-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“).

**გ. საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები**

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და კვლევები იმაზე მეტყველებს, რომ მართვის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად მხოლოდ გამჭვირვალობა არ არის საკმარისი. ღია ბიუჯეტის შედგენის კუთხით დადებითი შედეგის მიღწევა შესაძლებელია გამჭვირვალობისა და ბიუჯეტის შედგენაში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობების გაერთიანებით. შესაბამისად, „ღია ბიუჯეტის კვლევა“ სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის არსებულ შესაძლებლობებს შეისწავლის. აღნიშნული შესაძლებლობები შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას საბიუჯეტო ციკლის განმავლობაში როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებისა და აუდიტის უმაღლესი ორგანოს მიერ.

**ცხრილი 3. საქართველოს საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლებისათვის მრავალი ღონისძიების გატარება სჭირდება**

| **მოთხოვნა** | **დასკვნა** |
|---|---|
| **პროცესი, რომელიც კონსულტაციამდე ხორციელდება** | |
| საზოგადოების მონაწილეობის ფორმალური მოთხოვნა (114-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არსებობს, თუმცა არასაკმარისია |
| საზოგადოების მონაწილეობის მიზნების ნათლად გაცხადება (115-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არსებობს, თუმცა არასაკმარისია |
| აუდიტის დასკვნის შესახებ ინფორმაცია, რომელიც აუდიტის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოქვეყნებული აუდიტორული ანგარიშების ფარგლებს სცილდება (124-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არსებობს მყარი სისტემა |
| **კონსულტაციების პროცესი** | |
| მექანიზმები, რომლებსაც აღმასრულებელი | არსებობს, მაგრამ სუსტია |

| | |
|---|---|
| ხელისუფლება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მიზნით შეიმუშავებს (116-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | |
| საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტის მაკროეკონომიკური სტრუქტურის შესახებ საჯარო განხილვა (119-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არსებობს, თუმცა შესაძლებელია გაუმჯობესება |
| საკანონმდებლო ორგანოში ცალკეული სააგენტოს ბიუჯეტის შესახებ საჯარო განხილვა (120-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არსებობს მყარი სისტემა |
| საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტის განხილვისას საზოგადოების მხრიდან აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (121-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არსებობს, თუმცა შესაძლებელია გაუმჯობესება |
| ბიუჯეტის შესრულების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული მექანიზმები (117-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არ არსებობს |
| აუდიტის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აუდიტის უმაღლესი მიერ შემუშავებული მექანიზმები (123-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არსებობს, თუმცა შესაძლებელია გაუმჯობესება |
| **პროცესი, რომელიც ხორციელდება კონსულტაციების შემდგომ** | |
| აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან გამოხმაურება საზოგადოების მიერ მიწოდებული შენიშვნების გამოყენების შესახებ (118-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არ არსებობს |
| საკანონმდებლო ორგანოს მიერ საბიუჯეტო განხილვების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება (122-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არსებობს, თუმცა შესაძლებელია გაუმჯობესება |
| აუდიტის უმაღლესი ორგანოს გამოხმაურება საზოგადოების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე (125-ე კითხვა „ღია ბიუჯეტის კითხვარში“) | არ არსებობს |

მოცემული მაჩვენებლების საფუძველზე 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევა“ ასკვნის, რომ ბიუჯეტის შედგენის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები საქართველოში შეზღუდულია.

**<u>რეკომენდაციები:</u>**

„ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა“ საქართველოს რეკომენდაციას აძლევს, გააფართოვოს საბიუჯეტო პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევის“ დასკვნების გათვალისწინებით (იხ. ზემოთ ცხრილი 3 და კითხვები 114-118, და 125 „<u>ღია ბიუჯეტის კითხვარში</u>“).

**დ. კვლევის აღწერილობა, მეთოდოლოგია, საიმედოობა და საკონტაქტო ინფორმაცია მკვლევართა შესახებ**

„ღია ბიუჯეტის კვლევა“ ეფუძნება ფაქტებსა და ადვილად გამოსაკვლევ კრიტერიუმებს იმის შესასწავლად, თუ როგორ ხორციელდება საბიუჯეტო პროცესები პრაქტიკაში. კვლევის დასკვნების გასამყარებლად, როგორც წესი, ციტატები და შენიშვნებია გამოყენებული, მათ შორის მითითებულია საბიუჯეტო დოკუმენტი, კანონი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, მთავრობის წარმომადგენლის საჯარო განცხადება, ან ამონარიდი მთავრობის წარმომადგენლის ან სხვა ინფორმირებული მხარის პირადი ინტერვიუდან. კვლევა შედგენილია ბიუჯეტის საკითხებზე მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ თითოეულ ქვეყანაზე შევსებული კითხვარის საფუძველზე. დამოუკიდებელ ექსპერტებს ქვეყნების მთავრობებთან კავშირი არ აქვთ. ამის შემდგომ, თითოეულ ქვეყანაზე შევსებული კითხვარი ორი ანონიმური ექსპერტის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილება. არც აღნიშნული ექსპერტები იმყოფებიან მთავრობებთან რაიმეგვარ კავშირში. ამას გარდა, „ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა“ ქვეყნების მთავრობებს მიმართავს, რათა მათ კვლევის შედეგებთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვან, რომლებსაც „ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა“ კვლევის შედეგების დამტკიცებამდე განიხილავს. 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევის“ სრული ციკლი 18 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა და 2011 წლის ივლისიდან 2012 წლის დეკემბრამდე პერიოდი მოიცვა. მასში დაახლოებით 400 ექსპერტი მონაწილეობდა.

„ღია ბიუჯეტის კვლევა“ სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის შესახებ კვლევის უტყუარ წყაროს წარმოადგენს მთავრობების, ექსპერტების, მედიისა და მოქალაქეთათვის. კვლევის ამჟამინდელ მომხმარებელთა შორის არიან: „ღია მმართველობის პარტნიორობა“, „აფრიკის ბიუჯეტის რეფორმის ერთობლივი ინიციატივა“, „უმაღლესი საუდიტორო ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაცია“, „მსოფლიო ბანკი“, რომელიც კვლევის მონაცემებს იყენებს მსოფლიო მმართველობის საკუთარ ინდიკატორებში, დახმარების ორმხრივი სააგენტოები და მრავალი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაცია. 2012 წლის „ღია ბიუჯეტის კვლევის“ გამოქვეყნებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კვლევა მოწინავე ადგილზეა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის, საზოგადოების მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ არსებულ მონაცემთა ერთგვარ მსოფლიო არქივს წარმოადგენს.

მოცემული ქვეყნის „ღია ბიუჯეტის კვლევა“ ჩაატარეს დერეკ დოლერმა და ლაშა გოგიძემ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, რუსთაველის გამზ. #26, თბილისი, საქართველო 0108, ekag@transparency.ge; lasha@transparency.ge.

საქართველოს მთავრობამ თავისი შენიშვნები წარმოადგინა საქართველოსთან მიმართებაში „ღია ბიუჯეტის კვლევის“ შედეგებთან დაკავშირებით.